№ 2700
ხუთშაბათი,
16 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2700
ხუთშაბათი,
16 დეკემბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი **„ცნობის ფურცელი“** წელიწადი მეათე
სურათებიანი დამატებით.

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით **6** მან.

ფასი გაზეთისა გაგზავნით
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე.

საზღვარ გარედ ერთის წლით **9** მან.

ყოველ თვიური ჟურნალი **„მოამბე“** წელიწადი მეთორმეტე

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით **10** მან.
ცალკე №—1 მან.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით
ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“

საზღვარ გარედ ერთის წლით **13** მან.
ცალკე №—1 მ. 20 კ.

◆ **უფასოდ გაეგზავნება** ◆

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ჟიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ **ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას**

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრედვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ძველად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

20 ამა დეკემბერს საარტისტო „საზოგადოების“ საკონცერტო დარბაზში გაიმართება „**წერა-კითხვის საზოგადოების**“ სასარგებლოდ

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ფერტიგისა, ბ-ნნი ვილშაუ, მესხი კ. ს., მესხიშვილი ა. ი., პოლივკა, რჩეულიშვილი, ტომასევიჩი, ჯაფარიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ბ. ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

კონცერტის შემდეგ ქართული და ევროპიული ცეკვა.

ბილეთები იყიდება „წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში. (სასახლის ქუჩა, თ.-აზნაურობის ქარვასლა). (5—უ.—3)

ქართული წარმოდგენა. ვეტცელის თეატრში.

პარასკევს, 17 დეკემბერს ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

I **უბედური ნაბიჭი**
დრამა 3 მოქმ. კარეევისა. თარგ. შ. დადიანისა.

II **თავვის გრალია**
ვოდევილი ერთს მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ბ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძისა, ალ. კარგარეთლისა, ნებიერიძისა, ჯავახიშვილისა; ბ-ნნი ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, დ. ჩარკვიანი. ვ. შალიკაშვილი და სხვანი.

დასაწყისი 8½ საათზე.

(2—1) წარმოდგენას დასდგამს **ვალ. გუნია**.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

ხუთშაბათს, 16 დეკემბერს 1904 წელს ქ-ნ პაპაიანის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება: **„ცარსკაია ნევესტა“** ოპერა 4 მოქმ. მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნიკიტსკაია, შიხუტსკაია, ტულლერი, ხარიტონოვა, ზასლავსკაია ბ-ნნი: სიკაჩინსკი, პოლუიანოვი, დემიანენკო, ზალინსკი, ბაგროვი, მურატოვი.

კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

17 დეკემ.—„მაზეპა“. გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. **გალარჯიშვილი**.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. გ. **მულინი**.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. **კიმონტი**.—ქირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.

ა. ნ. **დიასამიძე**.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. **გედევანიშვილი**.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. **ქალი მ. კ. იოსელიანი**.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. **ბეიერი**.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. **მონინი**.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

ვ. ს. **მუსხელიშვილი**.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

ზრ. ვ. **სოგოლევსკი**.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. **სოგოლევსკი**.—ქირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. **დავიდოვი**.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 12—1. და საღამოთი 6—8 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 160. (თვ.—3)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

კოროლენოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმს

იწვევს სოფელი ახალ-ქალაქი

პირობების, შეტყობა შეიძლება სოფ. ახალ-ქალაქის სამკითხველოში. რკინის გზის სადგური **გრაკალი**. (6—4).

ექიმი

ი. ე. გამბურგერი

გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—24)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს. დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—20)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—12)

ექიმი

ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიიმი

ა. ნ. თეთრაძე

სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—23)

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—4)

ექიმი

გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—27.)

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი მდივნისა № 12. „კრუჟოკის“ გვერდით. (30—6.—4)

ექიმი

გ. ა. გედალინი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. (30—3)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

14 დეკემბერი.

შანჰაი, 13 დეკემბერი („რეიტერი“). რუსეთის კონსულმა პასუხი არ გასცა დაოტაის, რომელმაც მოსთხოვა ჩინელის მკვლელ „ასკოლდ“-ის რუსის მატროსის გაცემა. ამის გამო დაოტაიმ გარეშე საქმეთა მინისტრს მიმართა და ინსტრუქცია სთხოვა.

ჰააგა, 14 დეკემბერი. უარჰყოფენ ხმას, თითქო ჰოლანდიის დაეთმოს ბალტიის ესკადრისათვის ნავთსადგური საბანგი კუნძულ სუმატრაზე. ჰოლანდია სასტიკად იცავს ნეიტრალიტეტს. მებრძოლ სახელმწიფოებს არ დაუთმობს არც საბანგსა, არც ოსტ-ინდიის კუნძულების რომელსამე სხვა ადგილს.

მოსკოვი, 14 დეკემბერი. მოსკოვის წითელი ჯვრის გამგეობამ დაადგინა გახსნას საევაკუაციო პუნქტში საავადმყოფო 400 ლოგინით. თანხას ვაჭრების საზოგადოება აძლევს.—ცნობილია, რომ მოსკოვს ათი ათას დაჭრილს მოიყვანენ. დაბრუნდა ბრძოლის ველიდან გენერალ-ადიუტანტის გრიპენბერგის შვილი, რომელსაც ფეხი აქვს მოჭრილი. გაგზავნეს სოფ. მედვედს გენერლის მიშჩენკოს მიერ ტყვედ წაყვანილი ტოგოს შტაბის იაპონელი პოდპოლკოვნიკი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

14 დეკემბერი

ჩიფუ, 14 დეკემბერი. სხვა-და-სხვა ცნობებით, წარსულ ორი კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ უშენდნენ ზარბაზნებს პორტ-არტურის ქალაქსა და მის ფორტებს. დრო გამოშვებით სხვა ფორტებზეც შტურმი მიჰქონდათ, უმთავრესად ნიშანში იღებდნენ მწყრის გორის სიმაგრეებს. ჩვენი ბატარეები ამ სიმაგრეებიდან პასუხს აძლევენ. 9 დეკემბერს, დილით, იაპონელებმა განაახლეს შტურმი მთელს ფრონტზე. რაკი მაღალი გორა ხელთ აქვთ, ახლა იაპონელებს განუწყვეტლივ სოლივით შეიჭრან ციხეში. ამით გადასჭრიან გზას აღმოსავლეთ და დასავლეთ ფორტებს შუა და სარეზერვო ჯარს წესიერ მიმოსვლას მოუსპობენ. ამავე მიზნით იაპონელები ზარბაზნებს უშენენ ერთსა და იმავე დროს რამდენსამე სიმაგრეებს ფრონტის სხვა-და-სხვა ნაწილში. იაპონელთა ზარალი დიდია. დალნიში ყოველ დღე 60 ვაგონამდე მოდის ხოლმე დაჭრილ ჯარის კაცებით სავსე.

რომი, 14 დეკემბერი. „სეკოლო“-მ დაბეჭდა ერთი კორესპონდენტის წერილი, რომელიც პორტ-არტურის მიდამოებში იაპონელთა ბანაკში იმყოფებოდა. წერილი გამოგზავნილია იაპონელთა ცენზურის ჩუმად. წერილში უარყოფილია იაპონელთა მოხსენება, ვითომ პორტ-არტური დიდს გაჭირვებაში ჩავარდნილიყოს. პირიქით, რუსებს კიდევ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ რამდენსამე თვეს. რუსები ყოჩაღად. არიან, ზარბაზნებიც მაგდენად ზარალს ვერ აყენებენ. კორესპონდენტი უარჰყოფს იმ ხმასაც, ვითომ რუსებს წყალი აკლდეთ და ფორტებზე სანათი მასალა აკლდეთ.—კორესპონდენტის სიტყვით, რიცხვი ალყა-შემორტყმულ იქპონელთა არმიისა 45 ათასამდე აღის და განიყოფება სამ დივიზიათ და ორ ბრიგადათ, რომელთაც არტილერია ნაკლებად აქვთ. კორესპონდენტი ემოწმება და თავის მხრითაც ამტკიცებს, რომ იაპონელებმა უნაყოფო შტურმების დროს დიდძალი ჯარი დაჰკარგესო. რუსების არტილერიის სამყოფად არა აქვს დიდი ყალიბის ყუმბარები. კორესპონდენტის წერილს 8 ნოემბრის თარიღი უზის.

სიანტუნი, 14 დეკემბერი. 11 საათსა და 40 წუთს დილით, მანჯურიის არმიის ფრონტზე ცვლილება არა მომხდარა-რა. არაფრით სჩანს, რომ იაპონელებს ეწადოთ წინ წამოსვლა. ჩვენის მხრით ყაზახები და მოხალისენი ყოჩაღურად გაილაშქრებენ ხოლმე მტრის დასაზვერად. 12 დეკემბერს ჩვენმა პატარა რაზმმა ყაზახ აფიცრის იანშინის სარდლობით სოფ. უშინოსთან იერიში მიიტანა იაპონელთა სადარაჯო რაზმზე და რამდენიმე კაცი დაჩეხა. ურიადნიკმა ნამევანოვმა ტყვედ ჩაიგდო იაპონელთა ვახმისტრი (უნტერ-აფიცერი).

დამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. რუსეთი დიდძალ ჯარსა ჰგზავნის მანჯურიაში. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო კორესპონდენტი დეპეშით იუწყება პეტერბურგიდან: მე-8 კორპუსი ნოემბრის გასულს ჩავიდა მუკდენს. ამ კორპუსის შემდეგ ბევრი სარეზერვო ჯარიც ჩავიდა. მარტო ციმბირის მსროლელთა პოლკების შევსებას დასჭირდა 13,400 სალდათი; ამას გარდა საციხე არტილერიის ჯარიც შეავსეს. 4 დეკემბერს პირველ მსროლელთა ბრიგადის პოლკებმა სადგური ტაიგუ გაიარეს, ტომსკს ახლო. 6 და 7 დეკემბერს პირველ ბრიგადის უკანასკნელი ნაწილი ვნახე; 7 დეკემბერს მეორე ბრიგადის ნაწილი შემხვდა პეტროპავლოვსკს (დასავლეთ ციმბირშია) ახლო, მატარებლით მოდიოდნენ. 8 დეკემბერს მე-5 ბრიგადა ვნახე ჩელიაბინსკთან ურალზე. 9 დეკემბერს მე-16 საარმიო კორპუსის ჯარიც შემხვდა: მე-25 დივიზიამ ურალიდან დასავლეთისაკენ გაიარა. 10 დეკემბერს ამ დივიზიის არტილერიამ პენზა გაიარა. იმავე დღეს მე-4 დივიზიაც შემხვდა; ასე რომ მე-16 კორპუსი მანჯურიაში იანვრის 10-დე შეიკრიბება; მე-4 საარმიო კორპუსიც იანვრის გასულს ჩავა მანჯურიაში; მე-3 და მე-4 მსროლელთა ბრიგადები 10 თებერვალს იქნებიან სამხედრო მოქმედების ასპარეზზე. ამ კორპუსებს შემდეგ, როგორც ამბობენ, მე-18 და მე-21 კორპუსები გაიგზავნებიან, იქნება კიდევ მე-13 კორპუსიც გაიგზავნოს. ასე რომ მანჯურიის პირველი და მეორე არმიები ეხლა სრულიად არიან საბრძოლველად დამზადებულნი. სამსავე არმიაში 15 კორპუსი იქნება, 5 კორპუსი თითოში („ბ. ვ.“).

„ფრანკფურტ. ცაიტუნგ“-ი იუწყება: გერმანელი გენერალი მეკელი ეჭვობს, რომ რუსებმა ამას იქით ან ზღვაზე გაიმარჯვონ, ან ხმელეთზე. გამარჯვება იაპონელების ხელთაა და ეხლა ვერც გენ. კუროპატკინი უშველის რუსეთს, ვერც ადმ. როჟესტვენსკიო. გენ. მეკელი მე-80 წლებში იაპონიის ჯარის ინსტრუქტორად იყო („რ. ლ.“).

ბ. ნემიროვიჩ-დანჩენკო დეპეშით იუწყება: იაპონელებმა მდ. შახეზე თავიანთ პოზიციებისა და სანგრების მისავალში წყალი დაასხეს, ყინვისაგან წყალი გაიყინა და პოზიციებთან მისვლა შეუძლებელი გახდაო. („რ. ს“.)

„რუსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი სწერს: 2 ოქტომბერს, მდ. შახეზე ბრძოლის დროს, გენ. კუროპატკინმა პოზიციები დაათვალიერა. გზის ახლო ერთი როტა იდგა. გენ. კუროპატკინმა ჰკითხა ერთს სალდათს: წვნიანი გქონდათ გუშინაო.—„დიახ, თქვენო აღმატებულებავ“. —„რა გაქამეს?“—სალდათი გაჩუმებული დგას. „შჩი, კონსერვი, ხორცი?“—სალდათი მაინც ხმას არ იღებს. მთავარ-სარდალი მეორე სალდათს ჰკითხავს, მესამეს—ვერც ერთი პასუხს ვერ აძლევს. მაშინ როტის უფროსი გამოტყდა, გუშინ სალდათებს სადილი არ უჭამიათო. „რატომ?“—ჰკითხა გენ. კუროპატკინმა.—„წვნიან საჭმელის მოხარშვა შეუძლებელი იყო და სალდათებს არც უნდოდათ გუშინ სადილიო.“ უპასუხა შემკრთალმა აფიცერმა. მთავარ-სარდალს ჯავრი მოუვიდა, კარგად გამოჰკითხა აფიცერს და გამოჩნდა, რომ სალდათებს სრული სამი დღე არა ეჭამათ-რა სუხრის გარდა. „ვსტყუი, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ...“.

— „დიახაც სტყუით და პასუხსაც აგებთ მაგაზე...“

ხარბინში უმაღლესმა სამხედრო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, ყველა შინ გასაგზავნი სალდათი ცალ-ცალკე, თითო-თითოდ აღარ გაისტუმრონ რუსეთშიო. შენიშნეს, რომ საავადმყოფოდან გამოსული სალდათები ხან და ხან მარტოკები მიდიოდნენ რუსეთს, ცუდი ტანისამოსი ეცვათ და გზაში მოწყალებას თხულობდნენ. ამიტომ ხელ-ახლად ბეჯითი განკარგულება მოახდინეს, რომ ამას იქით სალდათები ბევრნი ერთად გაისტუმრონ ხოლმე რუსეთში უფროსის მეთაურობით. ამნაირ რაზმებს გზაში ყველაფერი, რაც-კი საჭიროა ექნებათ მიცემული. („ბ.ვ.“).

მანჯურიის არმიის მთავარ სადგომში შენიშნეს, რომ ზოგიერთ გაზეთში ხან და ხან სამხედრო ცენზურის გაუსინჯავად იბეჭდება დეპეშები რუსის ჯარის მოქმედებაზე. გენ.-ად. კუროპატკინმა ბრძანა, ამას იქით ყველა დეპეშა სამხედრო მოქმედების თაობაზე გაზეთებში დასაბეჭდად გაგზავნილი უსათუოდ სამხედრო ცენზურმა გასინჯოს მანჯურიაში, კერძო დეპეშებიც სამხედრო მოქმედებაზე რაზმების უფროსებმა განსაკუთრებულის სიფრთხილით გასინჯონ ხოლმეო. („ტ.პ.გ.“).

პორტ-არტური. ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ უცხოეთის გაზეთებს: კიკვანშანის ფორტი რომ აიღეს, იაპონელებმა ფორტის მეციხოვნე ჯარი თითქმის სულ გასწყვიტესო. ამავე დროს იაპონელებმა 203 მეტრიან გორის წინ მაღალ გორაზეც მიიტანეს შტურმი და აიღეს კიდევაც. ეს მაღალი გორა ქალაქს მაღლიდან დაჰყურებს. ამ გორის აღებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იაპონელები ამ პოზიციიდან რუსის ჯარს ლიაოტეშანისაკენ აღარ გაუშვებენ. იმავე დღეს (5 დეკემბერს) იაპონელები სუნშიშანის ფორტსაც დაეცნენ... („ნ. დ.“).

რუსის აფიცერს მიშჩენკოს ულაპარაკნია ჩიფუში: იაპონელებმა ვისოკაია გორის შტურმის დროს ისეთი გულადობა გამოიჩინეს, რომ ენით არ ითქმისო. ესევე ითქმის რუსებზეცაო. მეტად გამწვავებული ბრძოლა მოხდა. ბოლოს რუსებმა უკან დაიხიეს და გორა იაპონელებს დაანებესო. („ნ. დ.“).

გენ. სტესელისა და გენ. ნოგის მოლაპარაკება. დეპეშამ გვაცნობა, გენ. სტესელმა წერილი გაუგზავნა გენ. ნოგის და გენ. ნოგიმაც მაშინვე უპასუხა. გენ. სტესელმა თავის წერილს სხვა წერილიც დაატანა, თურმე ამნაირ შინაარსისა: „ამ წერილით მივანდობ ეგერმეისტერ ბ. ბალაშოვს, „წითელ ჯვრის“ წარმომადგენელს, თქვენ აღმატებულებასთან მოლაპარაკება გამართოს და ჩვენი საავადმყოფოები თქვენის ყუმბარებისაგან უზრუნველ-ჰყოს. უსარგებლოდ მიმაჩნია იმის დამატება, რომ თქვენ უფლება გაქვთ, თქვენის მოქმედების წარმატებას ხელი შეუწყოთ“. კონვერტზე კარანდაშით მოწერილი იყო: „ბალაშოვი ამავ ადგილზე მოვა 3 დეკემბერს 12 საათზე პასუხისათვის“.

დანიშნულ დროზე გენ. ნოგის წარმომადგენელი მაიორი სანტო მოვიდა მოენით. ბალაშოვმა უთხრა:

— იაპონიის არმია „წითელ ჯვრის“ შენობებს ესვრის ზარბაზნს.

— არას დროს—უპასუხა სანტომ.

— გთხოვთ მთელ ახალქალაქსა და ძველის ქალაქის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ზარბაზანი აღარ ესროლოთ.

— საზღვრის დანიშვნა არ შეგვიძლიან.

— მაშ პლანს გამოგიგზავნით, სადაც საავადმყოფების ადგილ-მდებარეობა იქნება აღნიშნული, და იმედი გვაქვს, რომ ზარბაზანს აღარ ესვრით საავადმყოფოებს.

— თქვენს პლანს ისე მივიღებთ, როგორც თქვენის თხოვნის დამატებას.

ბოლოს გადასწყვიტეს, რომ ბალაშოვს პლანი მეორე დღეს უნდა გაეგზავნა. („ნ. დ.“).

საუბარი ადმირალ ალექსეევთან. ადმირალ ალექსეევს საუბრის დროს, სხვათა შორის, უთქვამს „ნოიე ვინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტისათვის:

„რუსეთის მარცხი პირველ ხანში მოუმზადებლობის ბრალი იყო, შემდეგი მარცხი-კი იმით აიხსნება, რომ იაპონელები ყოველთვის ფრთხილ ტაქტიკას მისდევდნენ და სახიფათო საქმეებს ერიდებოდნენ. რუსეთს რომ ძლიერი ფლოტი ჰყოლოდა, ეს ომი არ მოხდებოდა. თუ უნდა, რომ დიდ სახელმწიფოს სახელი შერჩეს, რუსეთმა უსათუოდ მძლავრი ფლოტი უნდა გაიჩინოს. თუ იაპონელები პორტ-არტურს აიღებენ, დიდ ოკეანის მეორე ესკადრა ვლადივოსტოკში წავა და იქიდან იაპონიის ზღვაში იმოქმედებსო. ადმ. ალექსეევი გამოტეხით ამბობს, იაპონელებს კარგად შეუსწავლიათ სამხედრო მეცნიერებაო და ჰფიქრობს, რომ ომი ჯერ კიდევ დიდხანს გასტანსო. („ნ. დ.“).

იაპონიის ფლოტის წასვლა სამხრეთისაკენ. იაპონელებმა 203 მეტრიან გორიდან პორტ-არტურის ესკადრა გაანადგურეს და ამით ადმ. ტოგოს ფლოტი გაანთავისუფლეს. როგორც დეპეშიდან ვიცით, ადმ. ტოგოს ესკადრის მომეტებულმა ნაწილმა პორტ-არტურს თავი გაანება და სამხრეთისაკენ წავიდა ადმ. როჟესტვენსკის დასახვედრად. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ვ. მ. სწერს: „რუსის ფლოტს პორტ-არტურში რომ ბრძოლის თავი ჰქონდეს, იაპონიის ფლოტი პორტ-არტურს არ მოჰშორდებოდა, მით უმეტეს, რომ მაშინ რუსის ფლოტს შეეძლო ზღვაში გასულიყო, გზა მოეჭრა და იაპონიის არმია დიდ გაჭირვებაში ჩაეგდო. ეხლა გინდ „სევასტოპოლი“, „ოტვაჟნი“ და 6 ნაღმიანი გემი ბრძოლისათვის გამოდგებოდნენ, საკმარისი იქნება, რომ იაპონელებმა პორტ-არტურის სადარაჯოდ კვანტუნს ახლო მხოლოდ ერთი ჯავშნიანი გემი, რამდენიმე კრეისერი; კანონირი გემები და ნაღმიან გემების ფლოტილია დასტოვონ. დეპეშამ გვაცნობა, პესკადორის კუნძულებთან 40 იაპონიის გემმა გაირა, ამათ შორის 15 ქვა-ნახშირის მზიდველი და სატრანსპორტო გემი იყო; მაშასადამე, დანარჩენი 25 გემი მებრძოლი გემი ყოფილა. კონტრ-ადმირალ ურიუს დივიზიაც, უეჭველია, ამ ფლოტში ურევია. ეს დივიზია ჯერ კიდევ ნოემბერში გავიდა იოკოგამიდან სამხრეთისაკენ და სამის დიდის ჯავშნიან კრეისერისა („კასაგი“, „ჩიტოზე“ და „ტაკასაგო“) და 12 ნაღმიან გემისაგან შესდგება. ამ დივიზიას ჯერ-ჯერობით ადმ. ტოგოს ფლოტის ნაწილი, სულ მცირედ 10 გემი შეუერთდა. ადმ. ტოგოს ზოგიერთი გემი—ჯავშნიანი გემი „მიკაზა“, ჯავშნიანი კრეისერები „კასუგა“ და „ნისინი“ და ერთიც სხვა კრეისერი—30 ნოემბერს ქვა-ნახშირს უდებდნენ შანდუნის კონცხის სამხრეთით. დანარჩენ გემების სახელები არ ვიცით, მაგრამ პესკადორის კუნძულებთან, ალბად, სულ ჯავშნიანი გემები და კრეისერები გაივლიდნენ. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამხრეთისაკენ იაპონიის ფლოტის უმთავრესი ნაწილი წავიდოდა, დაახლოვებით 4 ჯავშნიანი გემი, 6 ჯავშნიანი კრეისერი, 3 დიდი პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი და 12 ნაღმიანი გემი; ყვითელ და იაპონიის ზღვებში კი, სანაპირო ჯავშნიან და კანონირ გემებისა და ნაღმიან ფლოტილიის გარდა, დარჩებოდა 1 ჯავშნიანი გემი, 3 დიდი და 10 პატარა პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი, ან სულ 17 დიდი მებრძოლი გემი. ამ შინ დარჩენილ გემებს საკმაოდ დიდი ძალა აქვთ და ორ ესკადრად გაიყოფიან; ერთი ესკადრა პორტ-არტურს ჰდარაჯობს, მეორე—ვლადივოსტოკს; ეს იქიდან სჩანს, რომ იაპონელებმა პორტ-არტურთან ინგლისელების გემი „კინგ არტური“ დაიჭირეს და კრეისერმა „ცუსიმა“-მ კორეის სრუტეში, უისანს ახლო იმ ადგილას, სადაც აგვისტოში (კრეისერი „რიურიკი“ დაიღუპა) გერმანელების გემი „ნევრაცია“ დაიჭირა. თუ ადმ. ტოგომ მართლა ამდენი გემი წაიყვანა სამხრეთისაკენ, სჩანს, იაპონიას დიდ ოკეანის მეორე ესკადრაზე უფრო ძლიერი ესკადრა გაუგზავნია ადმ. როჟესტვენსკის წინააღმდეგ. 13 დიდ გემზე ადმ. ტოგოს 211 მძიმე ზარბაზანი აქვს ($4\frac{3}{4}$ დიუმიანზე არა ნაკლები). იაპონიის ფლოტი მალე სინგაპურთან უნდა გაჩნდეს და მაშინ ყველაფერი გამოირკვევა“.

იაპონიის ესკადრა ადმ. კამიმურას უფროსობით, როგორც დეპეშიდან ვიცით, სინგაპურთან მივიდა, დანარჩენი ფლოტი-კი ადმ. ტოგოს უფროსობით კუნძულ ფორმოზასთან დადგა და იქ კუნძულის ნაპირებს ამაგრებს, ზღვაში ნაღმებს აწყობს და ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის დასახვედრად ემზადება.

„პტი ჟურნალ“-ის სამხედრო კორესპონდენტი იუწყება, ადმ. ტოგოს ამ ჟამად 46 დიდი სამხედრო გემი ჰყავს, თუ სარეზერვო გემებსაც ვიანგარიშებთ. („ნ. დ.“).

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 15 დეკემბერს, დაიწყო სიარული **ელექტრონის ტრამვაიმ** რკინის გზის სადგურიდან ვორონცოვის ძეგლამდე, აქედან-კი ქარვასლამდე ისევ ცხენის ტრამვაია. ჯერ-ჯერობით გამოიყვანეს მხოლოდ თორმეტი ვაგონი. ექვსი ვაგონი სასინჯად გამოიყვანეს გუშინ-წინ, 14 დეკემბერს, ღამის თერთმეტ საათზე, როცა სხვა ვაგონების მოძრაობა თითქმის შეჩერებული იყო. უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი ბ-ნი გრიმანისი თითონ გამოჰყვა ვაგონებს, აუხსნა ვაგონის მოსამსახურეთ სად როგორ მოქცეულიყვნენ და ამ გვარად რამდენიმე გზა შეასრულეს ვორონცოვის ძეგლსა და პარკს შუა. გუშინდლიდან-კი დილით შვიდის საათიდან დაიწყო მოძრაობა ვაგონებმა, მაგრამ ხალხი ჯერ უჩვევია და ძველი ჩვეულებით უნდა შეახტეს ვაგონს, რაც ამ ვაგონებზე მოუხერხებელია. მთელი დღე ქუჩები სავსე იყო ხალხით, განსაკუთრებით ვორონცოვის ძეგლთან იმდენ ხალხს მოეყარა თავი, თითქო დიდი რამ შემთხვევაო. ვაგონები შედარებით სწრაფად დადიან, თუმცა არც ისე, როგორც საზოგადოდ ელექტრონის მოძრაობას შეჰფერის, მაგრამ ეს საჭიროც არის ასე იყოს, რადგან უამისოდ შესაძლებელია ბევრი უბედურება მოხდეს—ხალხი უჩვევია.

✦ **ბაქოს გაზეთებში ვკითხულობთ:** სამშაბათს, 14 დეკემბერს, ტელეფონის ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ნავთის სამრეწველოებზე ტელეფონი არ მუშაობდა.

✦ ამას წინად **კავკასიის მუზეუმისა და ბიბლიოთეკის** გამგემ მისწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც უნდა მოხდეს ბიბლიოთეკაში. პროექტით განზრახულია ბიბლიოთეკის გაფართოვება და შეკეთება, ახალ წიგნების საწყობების გამოწერა და სხვ. სულ ბიბლიოთეკის მოწყობას დასჭირდება 16,000 მან. ბიბლიოთეკის გამგე სთხოვს ქალაქს გაიღოს ეს ხარჯი ბიბლიოთეკის შესაკეთებლად. ამის ნაცვლად ბიბლიოთეკა დაუთმობს ქალაქის ახალს ბიბლიოთეკას, რომელიც ალექსანდრეს ბაღში გაიმართება, 7000 მანეთის წიგნებს, სულ 4000 ტომამდე. ამ შუამდგომლობას ქალაქის საბჭო განიხილავს ამ დღეებში.

✦ კვირას, 19 დეკემბერს, ავლაბარში არაქსიანის თეატრში გაიმართება სახალხო კითხვები **ხოლერის შესახებ.** წაიკითხავენ სომხურად, ქართულად და რუსულად. სომხურად წაიკითხავს (დასაწყისი 12 ს.) ბ-ნი ქალანთარიანცი, ქართულად (დასაწყისი 1 საათზე)—ბ-ნი თეთრაძე და რუსულად (დასაწყისი 2 ს.)—ბ-ნი მუხარინსკი. კითხვებს მართავს კავკასიის სამკურნალო საზოგადოება. არ შეგვიძლიან აქვე არ შევნიშნოთ შემდეგი: ეტყობა, სამკურნალო საზოგადოებაში არც ერთი ქართველი ექიმი არ არის ან თუ არის, ამ ექიმებმა ქართული ენა არ იციან, რადგან არ გვახსოვს არც ერთი განცხადება ამ საზოგადოებისა ქართულ ენაზე, რომ ხეირიანად ყოფილიყოს შედგენილი. აი, ეს უკანასკნელი განცხადება, ქუჩებში გასაკვრელად დამზადებული, როგორ არის დაბეჭდილი: „საიმპერატორო კავკასიის საექიმო საზოგადოება სახალხო კითხვა ხოლერის თაობაზე ავლაბარში არაქსიანის თეატრში კვირას დეკემბრის 19-სა წაიკითხავს აქრთულ ენაზე ა. ნ. ტეტრაძე დასაწყისი 1 საათზე“. ენა ხომ არ ვარგა და არ ვარგა, მაგრამ ეს ნიშნების დაუსმელობა და „ტეტრაძე“ რაღა უბედურებაა!

✦ 12 დეკემბერს ბაქოში **ხოლერით ავად გახდა** 4, ხოლო [illegible] ერთი კაცი. არავინ მომკვდარა.

✦ **ტფილისის სასანიტარო კომისიის** სხდომა, რომელიც დანიშნული იყო დღეს, 16 დეკემბრისათვის, გადაიდო 18 დეკემბრისათვის.

* * *

✦ ამ დღეებში ტფილისის პოლიცმეისტერმა უწყებები გაუგზავნა სახლის პატრონებს და მისწერა ერთის თვის განმავლობაში შეუდგნენ სახლების წინ **ქვაფენილების გადაკეთებას.** ამის შესახებ საბჭოს კრებაზე ხმოსნები შეეკითხნენ კიდეც გამგეობას. გამგეობის დადგენილების თანახმად, ქვაფენილი სახლის წინ ქუჩის სიგანის ერთი მეექვსედის ტოლა უნდა იყოს. ამ საქმის გამოსარკვევად 14 დეკემბერს მოხდა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და საუკეთესო მომკირწვლელ კომისიისა. კრებას დაესწრო პოლიცმეისტერიც. გამოირკვა, რომ ქუჩების ქვაფენილების სივრცის შესახებ დადგენილება კომისიას უკვე ჰქონია და ეს დადგენილება გამგეობასაც დაუმტკიცებია. ქვაფენილები უნდა გადაკეთდეს ქალაქის იმ ნაწილებში, სადაც ახლად გაჰყავთ ან ახლად ჰკირწლავენ ქუჩებს. კრებამ დაადგინა, უკვე გაკეთებულ ქუჩებში ქვაფენილები დარჩეს ძველის ზომისა იმ დრომდე, ვიდრე გადათვალიერებულ იქნება სავალდებულო დადგენილებანი.

✦ ბოქაულ ჯავახიშვილის დაჭრის შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდიან: 12 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ბოქაული ჯავახიშვილი თავის სახლის პატრონ ახალქალაქის მოქალაქეს ვაღარშაკ მარქაროვთან ერთად შეზარხოშებული აბანოს მეორე ოთახში ისხდნენ. მოისმა ნელი ბრახუნი კარებისა. შიგნით მყოფთ ჯერ არ მიაქციეს ყურადღება ამ ბრახუნს. მაგრამ როცა პირველ ბრახუნს მოჰყვა მეორეც, აბანოს პატრონი აკოფოვი გავიდა, კარები გააღო და ვიღაცას ლაპარაკი დაუწყო. ამ ლაპარაკის დროს ერთბაშად გაიღო კარები და ტყვიის სროლის ხმაც გაისმა. ახლად შესული გამოდგა ყაზახის სკოლის ყოფილი მასწავლებელი სარქის ჯემარჯიანცი. პირველს სროლას მასწავლებელმა მოაყოლა მეორე, მესამე და მეოთხე. ამ დროს ლამფაც ჩაქრა. ერთი ტყვია მოხვდა ბოქაულს მარცხენა ბეჭის ქვეით. ჯემარჯიანცი შეიპყრეს. იგი ამ ბოლო დროს ახალქალაქის სომხის სამრევლო სკოლის მასწავლებლად იყო.

✦ 14 დეკემბერს „ბოიარსკი“-ს სასტუმროს ერთ ნომერში დილით ნახეს მკვდარი ექიმი ნიკოლოზ ვედენსკი. ექიმის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში გაჰგზავნეს. ვედენსკი მორფით მოწამლული აღმოჩნდა. მიზეზი მოწამლვისა არ იციან.

✦ სომეხ-გრიგორიანთა კონსისტორიამ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას მუხრანის ბო-

ფელეტონი

ქუთაისის საურთიერთო ბანკი

კვირას, 19 დეკემბრისთვის, ქუთაისში დანიშნულია ადგილობრივ საურთიერთო ბანკის საერთო კრება. ამ კრებამ უნდა გადასწყვიტოს საგულისხმო საკითხი ბანკის არსებობისა ან მოსპობის შესახებ, და, რაკი ამ ბანკს დიდი სამსახური მიუძღვის ადგილობრივ საზოგადოების წინაშე, ცხადია, ყველა მოუთმენლად მოელის ამ კრებას.

1904 წლის ივლისში ქუთაისის ბანკს ეწვია მეორედ მთავრობის რევიზია (პირველი რევიზია იყო ამ ორი წლის წინად). 10 დეკემბრის კრებას განსახილველად წარედგინება ამ რევიზიის მოხსენება და სამინისტროს მოწერილობა, რომლის ძალითაც წევრებმა უნდა გადიხადონ რევიზიის მიერ აღნიშნული ზარალი, 538 ათასი მანეთი, ან ეხლავე დახურონ ბანკი.

რევიზია აღნიშნავს, რომ ბანკს შავი-ქვის გირაოში უნდა მოსვლოდეს ზარალი 300,000 მანეთი, განაღდებულ თამასუქებში კიდევ 220,000 მანეთი, საზოგადოდ-კი ბანკს ამ ჟამად უნდა ჰქონდეს, ამავე რევიზიის ანგარიშით, 538,000 მანეთის ზარალი.

რევიზია აღნიშნავს აგრეთვე, რომ ამ ზარალის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ბანკის გამგეობის მიერ აუსრულებლად დატოვება იმ ზომებისა, რომელიც ნაჩვენები იყო პირველ რევიზიის მოხსენებაში.

რევიზიის ვრცელი მოხსენება, გამგეობის მიერ დაბეჭდილი და წევრებისთვის დარიგებული, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს იგი მიუდგომელი რევიზია-კი არა,—პოლიციის საბრალმდებლო ოქმი იყოს, ან საპოლემიკო წიგნაკი. გამგეობაც თავის საპასუხო მოხსენებაში აღნიშნავს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ რევიზია მოჰკიდებია საქმეს ცალმხრივად, გადამეტებულ ზარალს უჩვენებს საზოგადოებას და სრულებით აუხსნელად სტოვებს ბანკის ეხლანდელ მდგომარეობის ნამდვილ მიზეზებს...

მართლაც, გამგეობის ანგარიშით ბანკს მოელის ზარალი შავი-ქვისაგან 100—150,000 მანეთი, თამასუქებისაგან მხოლოდ 20—25,000 მანეთი.

ამ ზარალში არა ჩვეულებრივად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის ზარალი, რომელიც მოელის ბანკს შავ-ქვისაგან, რადგან ყველამ, ვინც საბანკო საქმეს იცნობს, იცის, რომ საზოგადოდ ბანკები ზარალობენ თამასუქებში რამდენსამე ათას მანეთს და არ არის არც ერთი ისეთი ბანკი, რომ არ ზარალობდეს რამდენიმეს განაღდებულ თამასუქებში.

შავი-ქვის საქმეში მიღებული ზარალი, გამგეობის სიტყვით, უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ ქვის გირაოდ სესხი იყო გაცემული იმ დროს, როდესაც ამ საქონელს კარგი ფასი ჰქონია, როდესაც ყველა ეტანებოდა ჭიათურას და იქ გამდიდრებას ელოდა.

ქუთაისის ბანკმაც, წევრების რჩევითა და თხოვნით, დაიწყო სესხის გაცემა შავ-ქვაში და წევრებს უხაროდათ ბანკის ასეთი მოქმედება, რადგან ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბანკს არაფერი ზარალი არ მოუვა ამითი და შავი-ქვის ფასი მსოფლიო ბაზარზედ უცვლელად დარჩება. ყოველ წლიურ საზოგადო კრებებზედ ამ სესხის შესახებ საწინააღმდეგო არავის არაფერი უთქვამს, ან ვინ იტყოდა რასმეს, როდესაც ყველას შავ-ქვაში სესხის გაცემა მოსაწონად მიაჩნდა.

მაგრამ დროება იცვალა. შავი-ქვის ვაჭრობა მოულოდნელად შეფერხდა, დაეცა, ფასებმა იკლო, საზღვარ-გარედაც საქონლის გატანა შემცირდა, რადგან ამერიკაში აღმოჩენილ შავი-ქვის ახალ მადნების გამო ზოგიერთმა მყიდველმა უარი განაცხადა ჭიათურის შავი-ქვის ყიდვაზე. ქუთაისის ბანკს და სხვა ბანკებსაც შერჩათ დაგირავებული და გაუყიდველი შავი-ქვა.

ახლა, როდესაც საქმე წახდა, ყველა აშკარად ხედავს, რომ საზარალო იყო შავ-ქვაში ფულის გაცემა, მაგრამ ამას ხედავენ მხოლოდ ახლა.

ახლა, როდესაც ბანკი ზარალობს შავ-ქვაში, ყველა გაიძახის საყვედურს ბანკის გამგეობის მიმართ, რად გასცა სესხი ამ საქონელშიო, მაგრამ ამას იძახიან ეხლა, როდესაც საქმე გათავებულია, და თვით ისინი, ვინც ეხლა საყვედურს უცხადებს გამგეობას, მაშინ, სესხის გაცემის დროს, თვით აქეზებდნენ გამგეობას ამ სესხის გასაცემად, რადგან მაშინ, ბანკის გამგეობასავით, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ საქმეში ბანკს შემდეგში არავითარი ხიფათი არ მოელის.

ისეთივე შეცდომა, როგორიც ქუთაისის ბანკს, მოუვიდა ტფილისის საკომერციო ბანკსაც, ფოთის ბანკს, სამხრეთ რუსეთის ბანკსაც და მრავალ კერძო პირს, ვისაც იმ დროს ჰქონია საქმე ჭიათურაში, ვისაც შეეძლო იმ დროს ფეხის ჩადგმა შავი-ქვის საქმეში.

საკვირველია, რომ ეხლა არ იხსენიებს არავინ იმ გარემოებას, რომელმაც მიაყენა დიდი ზარალი ქუთაისის ბანკს და ყველას, ვისაც რამე საქმე ჰქონია ჭიათურაში. რაკი შავი-ქვის ფასმა დაიკლო, მთავრობასაც ჭიათურის გზაზე გადატანის ფასი უნდა დაეკლო უსათუოდ. ამ გზაზე გადატანის ფასი უნდა უდრიდეს $\frac{1}{2}$ კაპ. ფუთზე, ახლა კი თითქმის აღემატება 7 კაპიკს. რკინის გზას მილიონები მოაქვს მოგება ყოველ წლიურად შავი-ქვის გადაზიდვით, ათასი შავ-ქვაში მოვაჭრე ადამიანი კი ზარალობს, ლუკმა-პურს ნატრობს...

ამას არ ამბობს არავინ, რადგან ყოველთვის დაბალ დობეს ეძებს ადამიანი და ასეთ დაბალ დობედ ქუთაისის საზოგადოებამ მიიჩნია ამ ჟამად ბანკის გამგეობა, რომელსაც უნდათ გადააბრალონ ყველაფერი.

შეუძლებელია ბანკის გამგეობასაც საქმის წარმოებაში არ მოსვლოდეს მრავალად შეცდომა,—შეუცდომელი მხოლოდ უსაქმურია და იმასაც ხომ მოსდის ერთი დიდი შეცდომა, რომ არ აკეთებს არაფერს,—მაგრამ უსამართლობაა ადამიანს გადავაბრალოთ ისეთი რამე, რაშიაც იგი დამნაშავე არ არის.

ამიტომ აქაც,—ქუთაისის ბანკის მიერ გაცემულ სესხის საქმეში,—უნდა სთქვას გამოტეხილი ყველამ, რომ იმ დროს გამგეობის ადგილას ვინც უნდა ყოფილიყო, ყველა იმ შეცდომას ჩაიდენდა, რომელიც გამგეობამ ჩაიდინა, ე. ი. უთუოდ გასცემდა შავ-ქვაზე სესხს და, რაკი გასცემდა, იზარალებდა კიდეც შემდეგში,

ამას იტყვის ყოველი ადამიანი, გამოცდილი ვაჭრობის საქმეში.

რევიზია კი ამბობს, გამგეობამ არ შესრულა სამინისტროს მოწერილობაო... იქნება მართლა? პირველი რევიზია იყო 1902 წლის მარტში, ბანკს სამინისტროს მოწერილობა მოუვიდა, იმავე წლის დამლევს, შავ-ქვაში კი სესხი გაცემული იყო 1900 წელს, ე. ი. სამინისტროს მოწერილობაზე ორის წლით ადრე.

არ გამოვუდგებით აქ რევიზიის მიერ ნაანგარიშევის ზარალის დაწვრილებით განხილვას, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ უცნაურ შეცდომას რევიზიის მოხსენებაში.

რევიზია ამბობს, ვითომც ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში გამგეობას გაეცეს იმავე შავ-ქვაში სესხად კიდევ 372 ათასი მანეთი. ნამდვილად კი ეს ფული თურმე როდი ყოფილა გაცემული შავ-ქვაში, არამედ გაცემულა შავი-ქვის გაგზავნის დროს ჭიათურიდან რკინის გზის ხარჯად და გემის დატვირთვისთანავე უბრუნდებოდა ბანკს სრულად. ვინც იცის შავი-ქვის საქმე, იმისათვის ცხადია, რომ აქ რევიზიას, საქმის უცოდინარობის გამო, დიდი შეცდომა მოსდის,—ქვაში გაცემულ სესხად აქვს ნაჩვენები ისეთი ფული, რომელსაც ამ სესხებთან აქვს მხოლოდ გარეგანი კავშირი. რევიზია-კი აქ აბრალებს გამგეობას „კრიზისის შემდეგ კიდევ ამოდენა ფული გაუციათო შავ-ქვაში!“ უცნაურია...

ამნაირი უცნაურობა ბევრია რევიზიის მოხსენებაში; ყველგან ზარალი გადამეტებულად არის ნაჩვენები, ბევრი აშკარა შეცდომაც არის, როგორც, მაგ,, ზემოთ ნაჩვენები 372,000 მანეთი,—ამიტომ გვგონია, რომ რევიზიის სიტყვა მაინცა და მაინც შეიძლება მთლად სავსებით მისაღები არ იყოს საზოგადოებისათვის, და იქმნება რამოდენადმე მართალი გამოდგეს ბანკის გამგეობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ზარალი რევიზიისაგან ნაანგარიშევის ნახევარიც არ უნდა იყოსო.

ამნაირ შეხედულებას რევიზიის მოხსენებაზედ უფრო მეტი საფუძველი ეძლევა, როდესაც ჩავუკვირდებით ამავე რევიზიის მოსაზრებას ბანკის თამასუქების შესახებ,—თამასუქებში ბანკს უზარალნიაო 220,000 მანეთი.

ასეთი ზარალი ყველას ეუცხოვება უთუოდ.

ნამდვილად-კი რევიზიას ბანკის ზარალად უცვნია თურმე ყველა ვადა გადასული და ნაპროტესტალი თამასუქი, გაურჩევლად იმისა, თუ რამდენად ნაღდია მოვალე, და ამას გარდა ჩაურიცხავს ზარალში კიდევ 48,000 მანეთის ისეთი თამასუქი, რომელსაც ჯერ ვადა არც-კი აქვს მოსული,

ამ უკანასკნელ 48,000 მანეთის ზარალში ჩაწერა უცნაური და უკანონოა, რადგან ის ფული ახალი წაღებული არ არის და წინა ვადებში მსესხებლებს წესიერად შემოუტანიათ სარგებელი, ამ ბოლო დროს-კი ნაწილ-ნაწილადაც შეუმცირებიათ თავიანთი ვალებიო. ამას გარდა რევიზიას არა აქვს წარმოდგენილი სია იმ თამასუქებისა, რომელიც საზარალოდ მიაჩნია და რომლის ჯამი 48,000 მანეთს უდრის; ვერც წარმოადგენდა, რადგან ეს 48,000 მანეთი სულ უადგილოთ უხსენებია.

თურმე, ნუ იტყვით, აქაც რევიზიას შეცდომა მოსვლია,—უკითხავს გამგეობისათვის,—თამასუქებში ფული რომ მოვითხოვოთ, ყველა გადიხდისო თუ არა. გამგეობამაც უპასუხა თურმე, რომ ამნაირ შემთხვევაში (ე. ი. ყველას ერთბაშად თუ მოეთხოვა ვალის გადახდა) 48,000 მანეთის, შეიძლება გადაუხდელი დარჩესო, რევიზიამაც საჩქაროდ მიუმატა ის ჯამი საერთო ზარალს.

დანარჩენი 172,000 მანეთი, რომელიც რევიზიის თქმით უნდა ჩაითვალოს ბანკის ზარალად, ვადა გადასული და ნაპროტესტალი თამასუქები ყოფილა. როგორც გამგეობამ დაგვიმტკიცა ბანკის წიგნების ჩვენებით, ამ ჯამში 1 დეკემბრამდის უკვე გაუსწორებიათ წევრებს თითქმის 600,000 მანეთი, ე. ი. თითქმის $\frac{1}{3}$ ნაწილი. გამგეობაც ეუბნებოდა თურმე რევიზორს, ვადა გადასული თამასუქები უმეტეს ნაწილად არის ნაღდი და მალე გასწორდებაო, მაგრამ რევიზორმა არ მიიღო გამგეობის სიტყვა და ყველა თამასუქი ჩასწერა ზარალში. ეხლა გამოდის, რომ აქ გამგეობის აზრი მართლდება, რევიზიის მიერ ნაანგარიშევი ზარალი გადამეტებული გამოდგა და თვით რევიზიის სიტყვაც მოკლებული სიმართლეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ რევიზიას აქვს ჩაწერილი ზარალში ათას თუ-

რანს ზემოდ შეუდგეს იორდანეს მოწყობას და მტკვრის ტოტზე ხიდის გაკეთებას.

◆ ტფილისის სახალხო სკოლები დირექტორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ პუშკინის მეორე სკოლაში მასწავლებლობის ნება მიეცა ქ-ნ ბარნოვის ნაცვლად, რომელმაც თავი დაანება, ქ-ნ ქართველიშვილისს, დროებით სამოსწავლო წლის დასრულებამდეო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობა 14 დეკემბერს შეუდგა 1905 წლის აღრიცხვის განხილვას. გამგეობამ მოასწრო 8 მუხლის განხილვა. გამგეობამ ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა შემდეგი ცვლილებები: მიემატოს ქალაქის უბნის ტეხნიკოსთა შტატს კიდევ ერთი ადგილი, რადგან ქალაქი მეტად გაიზარდა და 4 უბნის ტეხნიკოსი ვეღარ ასწრებს საქმეებს. მცენარეების გასაშენებლად ქუჩებზე გადაიდო 500 მან.; 5000 მან. გადაიდო დიდ ხევის არხის გასაკეთებელ თანხის გასაძლიერებლად. გამგეობამ აგრეთვე დაადგინა 900 მან. ნაცვლად 1200 მან. გაუხადოს ჯამაგირები საბჭოს საქმის მწარმოებელს იუზბაშევს და ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილების საქმის მწარმოებელს მინასოვს.

◆ სიზრანის სასფალტო საზოგადოებამ შეატყობინა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ საზოგადოება მზადაა ქვაფენილები ასფალტით გაუკეთოს ქალაქს და აგრეთვე მცხოვრებთაც, თუ საფასის დროზედ გადახდის გარანტიას გამგეობა თავის თავზე მიიღებსო. საზოგადოება შემდეგ შედავათიან პირობით უკეთებს მსურველებს ასფალტით ქვაფენილებს: გაკეთებიდან ორი კვირის განმავლობაში საზოგადოებას უნდა მიეცეს 35%, ნახევარ წლის განმავლობაში—35% და წლის დასასრულს 30%.

◆ ამას წინად ვილაც ქურდებმა მაღაზია გაუტეხეს პოლიციის მე-3 ნაწილში ვაჭარ იაგორ შალნოვს და წაიღეს 100 მენეთზე მეტის ნივთები. პოლიციელებმა ქურდი დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა თევდორე ზუევი.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 279.** შინაარსი: ⁂,—ლექსი ვ. რუხაძესი, „მეჩექმე გაბო“,—მ. ადამაშვილისა, სურათები: „განცხრომა“,—იულ. ადამისა, „ბებიის კოცნა“, ქანდაკება დანტისა და სამი კარიკატურა.

დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი. შუამდგომლობა იქნა აღძრული გაძლიერებულ დაცვის დებულების გაუქმების შესახებ. ხმა დადის, მინისტრთა კომიტეტი მალე გადასინჯავს ამ დებულებასაო.

განჯა. განჯის ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა გთხოვთ გადასცეთ თანაგრძნობა ამ ავადმყოფობის დროს ძვირფას პოეტს აკაკის. **ევდოშვილი.**

პრესსა

კარგა ხანია გვესმის, რომ პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს შორის განხეთქილებააო. სამწუხაროდ, გამოაშკარავებული არ არის, რა ნიადაგზე ასტყდა ეს უთანხმოება, ან რამ გამოიწვია. ესე იგი სასურველია, ყველაფერი მიზეზი გამოირკვეს და გამოცხადდეს.

ეხლა გაზეთის ფურცლებზედაც გადავიდა ეს უთანხმოება. „ნაშა ჟიზნ“-ის მე-33 ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

> უმორჩილესად გთხოვთ უარი არ გვითხრათ და ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ შენიშვნას:
>
> სალამოები, რომელიც ეს 38 წელიწადია იმართება „პეტერბურგში მცხოვრებ ღარიბ ქართველების სასარგებლოდ, იმართება, როგორც ეს კარგად იცის რუსეთის საზოგადოებამა და მოსწავლე ახალგაზდობამ, პეტერბურგში მოსწავლე ქართველ ახალგაზდობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით და სწორედ ამ ახალგაზდობის ღარიბ წევრთა სასარგებლოდ. ასეთი სალამო „პეტერბურგში მცხოვრებ ღარიბ ქართველების სასარგებლოდ“ იმართება წელსაც, მაგრამ ამ გამართვაში ჩვენ ქვემორე ხელის მომწერელნი, რომელნიც აქ მოსწავლე ახალგაზდობის უმრავლესობას შევადგენთ, არავითარ მონაწილეობას არ ვიღებთ, რასაც ვატყობინებთ როგორც რუსის საზოგადოებას, ისე პეტერბურგის მთელ მოსწავლე ახალგაზდობას, რათა მთელი პასუხის გება ამ სალამოს გამართვისა დაეკისროს იმ ჯგუფს, რომელმაც შესაძლებელად დაინახა სალამოს გამართვა ისეთის პირობებით, რომლებზედაც ჩვენ, უმრავლესობა, ვერასოდეს ვერ დავთანხმდებით.
>
> ხელს აწერს 61 კაცი.
>
> ვსთხოვთ დანარჩენ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

არ ვიცით, რამ გამოიწვია 61 სტუდენტის ეს წერილი, შეიძლება ამათ სხვა გზა არც კი ჰქონდათ, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ პეტერბურგელ ქართველ სტუდენტების ცხოვრება, ალბად, სამწუხარო სურათს უნდა წარმოადგენდეს, როცა ასეთი უბრალო საქმეც კი ვერ მოუწყვიათ ერთად როგორც სალამოს გამართვაა.

⁂

ევროპაში თურმე დღეს ქალაქიდან სოფლად მიდიანო, სწერს „რუსკოე სლოვო“, ჩვენში, რუსეთში კი, სოფელი არავის იზიდავსო. მიზეზი? აუტანელია სოფლური ცხორება და ამას საერობო უფროსებიც ამოწმებენო.

საერობო უფროსს კრასოვსკის ულაპარაკნია, რომ

> თუ გლეხს, ეხლა რომ აქვს, ისეთი საჭმელი ექნება, სოფელი დიდ-ხანს ველარ იცხოვრებსო. გლეხის საჭმელში არ არის არც ხორცი, არც კვერცხი, არც რძე. პური და კვერცხი მილიონობით გადის საღვარ-გარედ, შინ-კი დამშეულობის მიზეზით ავათმყოფობა მუსრს ავლებს დიდსა და პატარას. გლეხებს კარგად ესმისთ, რასაკვირველია, რძის, ხორცის და კვერცხის მარგებლობა, მაგრამ რა ჰქნან, რომ ხელი არ მიუწვდებათ!

სოფლის ცხოვრების საზარელ სურათს გვიხატავს კსასოვსკი:

> დამშეულობა მუდმივია მოსავლიან წლებშიაცკი; პირველ საჭიროების დამაკმაყოფილებელი საგნები მეტად ძვირია; ბავშვები საშინლად იხოცებიან, უფრო მეტი, ვიდრე საკონცენტრაციო ბანაკებში ინგლის-ბურების ომიანობის დროს.

ხომ ასეთი აუტანელია სოფლის ცხოვრების პირობები, მაგრამ მფარველობას უწევენ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობას და ამის სასარგებლოდ სასოფლო მეურნეობას სულ ახალ-ახალ არა პირდაპირ გადასახადს ადებენ.

> არა-პირდაპირი გადასახადები ჩვენ ოფიციალურ ფინანსისტების საყვარელი საგანი არისო, ამბობს „რუსკოე სლოვო“. ს. ვიტტე მხურვალედ ამტკიცებდა, რომ ჩვენ კიდევ არა ვართ მომზადებული პირდაპირ გადასახადებისათვისო. არა პირდაპირი გადასახადი-კი ყველას აძლევს შეძლებას იმდენი იხადოს, რამდენიც შეუძლია: ვინც მეტს ხმარობს საქონელს, იგი მეტსაც იხდისო.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ ის რად უნდა დავივიწყოთ, რომ მოხმარება თვით სიცოცხლე არის: ვინც ნაკლებს ხმარობს, იგი დამშეული, სუსტი და გადაგვარების გზაზე დამდგარი არის, და სწორედ ეს ნიშნები ყველას თვალში მოხვდება, ვინც კი სოფელში მივა და იქაურ ცხოვრებას გაეცნობა—სოფელში დღეს სიღარიბე კი არა, ნამდვილი სილატაკეა გამეფებულიო.

წერილის დასასრულს გაზეთი ამბობს:

> ჩვენ ოფიციალურ ფინანსისტებს ადვილად შეუძლიანთ შეიტყონ, რომ სოფელში ყველგან დიდი საჭიროებაა იმისი, რაც აუცილებელია წმინდა ფიზიოლოგიურ არსებობისათვისაც-კი. სხვა ხალხების ისტორიაშიც იშვიათია ასეთი ნიშნები; და სადაც იყო, შესაფერი შედეგიც მოჰყვა. მაგრამ იქ არ იცოდნენ და არც სურდათ სცოდნოდათ, რას აკეთებდნენ; ჩვენ-კი ვიცით, მაგრამ ვერ გაგვიბედნია არ გავაკეთოთ ის, რაც გასაკეთებელი არ არის.

გაზეთი „რუს“-ი ბევრს ლაპარაკობდა და ლაპარაკობს რუსეთის პოლონეთის საკითხზე. უბრუნდება ამ საკითხს 359 ნომერშიაც. გვსურს კარგი სამართლიანი განწყობილება გავმართოთ პოლონელებთან, მაგრამ, როცა ამ სურვილის ასრულებას მოვინდომებთ,

> აუცილებლად იბადება საკითხი იმ თანასწორობისა და ძმობის რეალურ გარანტიების შესახებ, რომელზედაც ამდენი გვილაპარაკნია. ასეთ გარანტიად შეიძლება იქნეს მხოლოდ მტკიცე უფლებრივი წესწყობილება რუსეთში. მხოლოდ ეს უფლებრივი წესწყობილება მოგვცემს ჩვენ, რუსებს, უფლებას სურვილების საზღვარს გადავსცდეთ და ნამდვილ საქმეს შევუდგეთ; პოლონელებს-კი რწმენას ჩაუნერგავს გულში, რომ რუსეთის მთავრობას და საზოგადოების სურვილს ვერ წინაღუდგება მიყრუებულ კუთხის „ურიადნიკი“ თავის „უსმოტრენიებით“ და ცირკულიარებით...
>
> როგორ შეიძლება მუშაობა რუს-პოლონეთის საკითხის საქმეში, თუ პრესის თავისუფლება არ არის? სად უნდა გაისმას ხმა პოლონეთის და რუსეთის ხალხისა, თუ არ არის თავისუფლება შეკრებისა და შეკავშირებისა?

მართალია, მარტო უფლებრივი წეს-წყობილება ვერ მოსპობს ერთა შორის არსებულ განხეთქილებას,—ამის ცხად მაგალითს ევროპის სახელმწიფოები გვიჩვენებენ,—მაგრამ ეს უფლებრივი წესწყობილება ის აუცილებელი ნიადაგია, ურომლისოდაც შეუძლებელია არა თუ შეთანხმება, შეთანხმებაზე ლაპარაკიც კი.

კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოება

14 დეკემბერს მოხდა ამ საზოგადოების კრება. კრებამ მიიღო თავმჯდომარის გენერალ ზელიონის წინადადება, მადლობა გამოეცხადოს ყოფილ თავმჯდომარეს გენერალ ა. ა. ფრეზეს. შემდეგ ა. მ. დირრმა წაიკითხა მოხსენება ამ სათაურით: „კავკასიის ენათა ცოდნა, მისი ისტორია და მომავალი“. ბ-ნი დირრი კავკასიურ ენებს, გარდა იმ ევროპიულ ენებისა, რომელნიც ჩვენში რუსების დამკვიდრების შემდეგ შემოვიდნენ, ჰყოფს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს ის ენები ეკუთვნიან, რომელთაც მონათესავეები სხვაგანაც ჰყავთ, მეორე ჯგუფს—ნამდვილ კავკასიური ენები. პირველი ჯგუფის ენები ეკუთვნიან ინდო-ევროპიულ, ურალო-ალტაისა, მონგოლთა და სემიტურ მოდგმათ. ინდო-ევროპიულ ენებს კავკასიაში ეკუთვნის ტატური, ტალიშური, ქურთული, ოსური და სპარსული; აგრეთვე ამავე მოდგმის გვარ ენებს ეკუთვნის სომხური, ბერძნული (კავკასიაში რამდენიმე სოფელია ამ ენაზე მოლაპარაკე) და ენა ამიერ-კავკასიის ციგნებისა—ბოშებისა. ურალო-ალტაისა და მონგოლის მოდგმის ენებს ეკუთვნის კალმიკური და თურქ-ოსმალოთა ხალხის ენები. მეორე რიგის ენები სამ დასად განიყოფებიან: 1. სამხრეთ დასავლეთისა ანუ ქართველისა, 2. დასავლეთ მთიულებისა ანუ აბხაზეთ-ჩერქეზებისა და 3. აღმოსავლეთ მთიულთა, რომელიც შეიცავს დაღესტნის ხალხების და ჩერქეზთა ენებს. მომხსენებლის აზრით, კავკასიის ენათა ცოდნა მეტად არა სასურველ მდგომარეობაშია. მეცნიერების მიერ იგი საკმაოდ შესწავლილი არ არის. კარგად არის შესწავლული სომხური, ირანული და ზოგიერთი სხვა ენა. თუმცა სრულად არც ეს ენებია შესწავლილი, მაგრამ იმდენად მაინც, რომ ვიცით, რომელ მოდგმას ეკუთვნიან. რაც შეეხება ნამდვილ კავკასიურ ენებს, ჯერ კიდევ ბევრი მასალაა მოსაკრები, რომ მეცნიერება რაიმე გამორკვეულ აზრს დაადგეს.

კავკასიურ ენების გამოკვლევას ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის შემდეგ შეუდგნენ, მაგრამ ნამდვილი მეცნიერული გამოკვლევა ამ ენებისა დაიწყო მე-19 საუკუნის ნახევრიდან. ცნობილმა ისტორიკოს-არქეოლოგოსმა ბროსემ შეადგინა ქართული გრამატიკა, შიფერმა შეისწავლა ავართა, უდინთა და ჩერქეზთა ენები. როზენმა შეადგინა მოკლე მიმოხილვა ლაზთა, მეგრელთა, აბხაზთა და ოსთა ენებისა და სხვ. ბრწყინვალე ინიციატორი კავკასიურ ენების შესწავლის საქმეში იყო ბარონ უსლარი, რომელმაც შედარებით მოკლე დროში შესძლო საფუძვლიანად აბხაზურისა, ჩერქეზულისა, ავართა და სხვა წვრილ ხალხთა ენების შესწავლა. შემდეგ მომხსენებელი შეეხო იმას, თუ მომავალში რა უნდა გააკეთოს კავკასიის ლინგვისტიკამ. ბ-ნი დირრის აზრით, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მეცნიერებამ გაიცნოს გამოუკვლეველი ენები. შემდეგ საჭიროა შედგენა და შემუშავება მეგრულისა და სვანურ ენების გრამატიკისა; საჭიროა ორიგინალური ლექსიკონი ლაზურის ენისა, მასალები ქართულის დიალექტოლოგიისათვის, მონოგრაფია ქართულ ენის ზმნისა; სრული ლექსიკონები ლაზურისა, მეგრულისა და სვანურ ენებისა; საჭიროა დაღესტნის მცხოვრებთა ენათაგან გამოუკვლეველ ენების გამოკვლევა და სხვ. როცა, მომხსენებლის აზრით, ეს მასალა შეგროვდება და შემუშავდება, მაშინ შეიძლება მეცნიერება შეუდგეს უფრო დიდ საკითხების გამორკვევას: რა დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთში ქართველთა მოდგმის ენებს, ე. ი. ქართულსა, ლაზურსა, მეგრულსა და სვანურს. შემდეგ შეიძლება იმ საკითხის გამორკვევა, თუ რა კავშირია აღმოსავლეთ კავკასიის ენათა შორის და სხვა. დასასრულ ბ-ნმა დირრმა მოიყვანა რამდენიმე ქართული სიტყვა და სთქვა, დაღესტნის ოლქის ხალხებისა და ქართველ მოდგმის ენათა შორის ბევრი რამე არის საერთოო. კრებამ მომხსენებელს მადლობა გადაუხადა და დაადგინა, მოხსენება დაბეჭდოს თავის გამოცემებში.

რუსეთის ქრონიკა

◆ პეტერბურგში 15 დეკემბრიდან გამოვა ახალი უცენზურო გაზეთი „ნაში დნი“, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ამას წინად დროებით შეჩერებულ „სინ ოტეჩესტვა“-ს ყველა თანამშრომლები.

◆ გზათა სამინისტრომ განკარგულებით მიმართა რკინის გზების გამგეობათ იმის შესახებ, რომ 19 თებერვალს, გლეხთა განთავისუფლების დღეს, სახელოსნოებში მუშაობა არ უნდა შესწყდეს. მსურველ მუშებს მხოლოდ ნება უნდა მისცენ ეკკლესიაში წირვას დაესწრონ და უნდა დაუჭირონ ამ დღის ხვედრი ქირა.

◆ „ს. პეტ. ვედ.“-ის სიტყვით, მთავრობას გადაუწყვეტია, შეაჩეროს საერობო დაწესებულებათა შემოღება იმ ადგილებში, სადაც დღეს ერობა არ არსებობს, სანამ შინაგან საქმეთა სამინისტრო არ განიხილავს და საკანონმდებლო წესით დამტკიცებული არ იქნება ახალი დებულება საერობო თვითმართველობის ორგანოთა შესახებ.

◆ ამას წინად ვაუწყეთ მკითხველებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით, განახლდა პეტერბურგის ეკონომისტ-

---

მნამდე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცლების დაბალ კურსისა გამო: ქუთაისის საურთიერთო ბანკს სახლის დაგირავების დრო მიუღია 84,000 მანეთის გირავნობის ფურცლები და ამ ფურცლებს გასასყიდად ათას თუმნით ნაკლები აქვს ფასიო, მაგრამ ეს ფურცლები ბანკს ხელში აქვს და ვალის გადახდას ამავე ფურცლებით აპირებს,—ამნაირ შემთხვევაში მას ამ საქმეში არ მოუვა არავითარი ზარალი,—ამიტომ ეხლა, მანამ ეს ფურცლები ბანკს არ გაუყიდია, ადრეა და უადგილოც ლაპარაკი იმაზედ, მოუვა ბანკს ამაში რამე ზარალი თუ არა. რევიზიას კი ეხლავე, წინდაწინვე გადაუჭრია ამ ფურცლების იმედი, უანგარიშნია ათასი თუმნის ზარალი იქ, სადაც ზარალზედ ჯერ ლაპარაკიც არ შეიძლება.

მოკლე წერილში შეუძლებელია აღინიშნოს ყველა ის შეცდომა და გადაჭარბება, რომელიც რევიზიის მოხსენებაშია. ვიტყვით მხოლოდ, რომ ზემოდ აღნიშნულიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ რევიზია შეცდომით სცდილობს ზარალის გაზვიადებას.

ზარალის დასაფარავად ბანკს აქვს საწევრო ფულის გარდა სათადარიგო თანხა 62,000 მ. ამას გარდა კიდევ სხვა თანხები თითქმის კიდევ 60,000 მანეთი, სულ 120—122,000 მან. ამიტომ გამგეობის მიერ ნაანგარიშევი ზარალი ბანკის წარმოებით რამდენსამე წელიწადში ადვილად დაიფარება. კრება ზარალის გამოანგარიშების დროს გამგეობის აზრს უნდა დაადგეს უსათუოდ. ყველამ იცის, რომ ბანკს აუცილებლად დასჭირდება სამინისტროს თანხმობა, რომ რამოდენიმე წლით იყოს განაწილებული ზარალის გადახდა, დასჭირდება აგრეთვე სახელმწიფო ბანკის კრედიტი.

ამ ორ საქმეზე სამინისტროსი და სახელმწიფო ბანკის დათანხმება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრება გადასწყვეტავს და დააჯერებს სახელმწიფო ბანკს და სამინისტროს, რომ ბანკის საქმე არც ისე ცუდად არის, როგორც რევიზიას აქვს წარმოდგენილი, რომ მას ნამდვილად ნაკლები ზარალი მოელის, რომ იგი კიდევ სანდო და სასიცოცხლოათ.

პირიქით, თუ კრებამ გადასწყვიტა, რომ რევიზია ყველაფერში მართალია და ბანკს მართლა ის ზარალი აქვს, რომელსაც გვიჩვენებს რევიზია, მაშინ სახელმწიფო ბანკის დახმარება და სამინისტროს თანხმობა ზარალის განაწილებაზედ სათუო იქნება.

ასე იქნება თუ ისე, გვგონია, რომ სამინისტრო და სახელმწიფო ბანკები ეცდებიან ქუთაისის ბანკს შეუწყონ როგორმე ხელი. ბევრად უფრო საძნელო იქნება სხვა საქმე,—ბანკში ძველებურად ფულის დატრიალება. წელს მარტიდან ქუთაისის ბანკს საზოგადოდ უჭირდა ფული და ამ გარემოებამ მეტად შეაფერხა ბანკში საქმეების ბუნებრივი მსვლელობა, ზოგიერთი ხომ ამასაც იმავე გამგეობას ახვევდა თავზედ და ხალხში ხმას ავრცელებდა, ვითომ ბანკის შევიწროვებული მდგომარეობა იმისი შედეგი იყოს, რომ ბანკის წარმოებაში აღმოჩნდა ზარალი.

ასეთი ხმა—ნამდვილი ჭორია, განზრახი სიცრუე.

თებერვალ-მარტამდის, ესე იგი ომიანობის დაწყებამდის და ქუთაისში აზოვ-დონის ბანკის განყოფილების გახსნამდის, ქუთაისის საურთიერთო ბანკს ყოველთვის საკმაოდ ჰქონია ფული, თუმცა ზარალის შესახებ ხალხში ხშირად ყოფილა ლაპარაკი და ზოგიერთი წევრი „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ და „ტიფლისკი ლისტოკის“ საშუალებით სისტემატიურად ცდილობდა ბანკის სახელის გატეხას. აზოვ-დონის ბანკმა ერთბაშად დასცა ქუთაისის საურთიერთო ბანკი,—სხვა ბანკებმაც ერთბაშათ მოსთხოვეს ვალების გადახდა, თითქმის სამასი ათას მანეთისა. ქუთაისის ბანკს, რასაკვირველია, გაუჭირდა რამდენისამე დღის განმავლობაში ამოდენა ფულის გადახდა. ამით ისარგებლა აზოვ-დონის ბანკმა და მისმა დამქაშებმა, და მორთეს ყვირილი—დაიღუპა ქუთაისის ბანკიო. ამ ყვირილს მისცეს ბანი ქუთაისის ბანკის გამგეობის მტრებმა.

მოულოდნელ შემთხვევისა გამო ვაჭრობაში ვის არ შეხვედრია უფულოდ დარჩენა, მაგრამ ამნაირ შემთხვევაში ვაჭრებმა ერთმანეთის ხელის შეწყობა იციან,—ქუთაისის ინტელიგენციამ კი,—ალბად, ვაჭრულ წესების უცოდინარობით, მოჰფინა ქვეყანას ბანკის ამბავი, დაიწყო ზედი-ზედ კრებები, გულმტკივნეულად მოლაპარაკება ბანკის „გაჭირვებულ“ მდგომარეობის შესახებ, დაიწყო ზარალის ჩხრეკა-ძიება, გაეწყო რევიზიები, „აღმოაჩინა“ ზარალი, დააბრალა ყველაფერი გამგეობას და ხალხში, საზოგადოებაში, შინ, გარეთ, ქალაქსა და სოფლებში გაიტანა ამბავი, რომ ბანკს დიდი ზარალი მოელის, რომ ბანკი დიდ ხიფათშია ჩავარდნილიო, რომ ეხლანდელი გამგეობა უთუოდ უნდა გამოიცვალოს ეხლავე, ვინაიდან მხოლოდ მაშინ გამოკეთდება ბანკის საქმეო. ამის გამგონი ხალხი კიდევ უმეტესად შეშინდა და მიაწყდა ბანკს ფულის გამოსატანად. ისედაც შევიწროებული ბანკი თითქმის უკიდურესობამდის მივიდა. ინტელიგენცია კი მაინც მხნედ განაგრძობდა თავის ქადაგებას და ამ თავის ქადაგებით გამოწვეულს ბანკის უკიდურეს მდგომარეობას აბრალებდა ისევე გამგეობას, ეუბნებოდა ხალხს,—ამათ ხელში წახდა და წახდება ბანკიო. რამდენიმე პირმა, ხალხში სალაპარაკოდ გასულმა გამგეობის საწინააღმდეგოთ, ბანკს გაუტეხა სახელი და ამით მიაყენა მას ისეთი ზარალი, რომლის დაახლოვებით ანგარიშიც შეუძლებელია.

ზარალის გადახდა ადვილია,—ამ ზარალს თვით ბანკის მომავალი წლების წარმოება დაჰფარავს,—ძნელია ბანკისთვის გატეხილ სახელის აღდგენა. გამგეობის საწინააღმდეგოდ ამხედრებული პირები—უმთავრესად კი ქუთაისის ზოგიერთი ვექილები,—რომ უტეხავდნენ სახელს დაწესებულებას და აშინებდნენ ფულის პატრონებს, ალბად, არც-კი ჰფიქრობდნენ იმას, რომ ამითი ღუპავდნენ ბანკს და რომ შემდეგ ბევრი მოხერხება და თვალთ-მაქცობა დასჭირდებოდათ იმისთვის, რომ ეს თავიანთი შეცდომა თავზედ მოეხვიათ ვინმესთვის, თუნდ იმავე გამგეობისთვის... ეცადნენ კიდეც. ერთ კერძო კრებაზე შეადგინეს ბანკის კრებისთვის იერიშის გეგმა, ჯერ გადააყენონ გამგეობა, აარჩიონ ახალი გამგეობა და მხოლოდ ამის შემდეგ მოისმინონ რევიზიის მოხსენება და გამგეობის პასუხი ამ რევიზიის შესახებ. გადასწყვიტეს ჯერ გაასამართლონ გამგეობა და შემდეგ მოისმინონ მისი ჩვენება, ჯერ გაატიმბირონ ადამიანი და მხოლოდ შემდეგ გაასამართლონ.

ეცადნენ აგრეთვე კრებაზე ღლდოს გატანას ისე, როგორც გააქვთ ხოლმე ბურთის თამაშში,—დონით, ყვირილით, გაბედულობით, იმის მაგიერათ, რომ დინჯათ მოლაპარაკებულიყვნენ საქმის შესახებ!.. ყველა ხომ არ ესწრებოდა კერძო კრებებს; ვინ არის იმისი თავდები, რომ ამ კერძო კრებების მეთაურები, საავიტაციო მიზნით გატაცებულნი, ხალხს არ აწვდიდნენ ბანკის შესახებ ყალბ ცნობებს!...

ინტელიგენტია, სხვის დამშვიდების და მაგალითის ჩვენების მაგივრად, თვითონ ყვირის, კრებაზედ იწყებს აურ-ზაურს, სხვასაც აყვირებს, რომ ამნაირათ გაიტანოს თავისი აზრი, „დაამარცხოს“ მოპირდაპირე...

გულ წრფელად და გარკვევით ვურჩევ ბანკის წევრებს მომავალ კრებაზედ არ აჰყვნენ მყვირალა და არა მკითხებს და გამოიჩინონ საჭირო სიდინჯე, რადგან ფრიად საგულისხმო საკითხები აქვთ გადასაწყვეტი.

ხმა დადის, ვითომც კერძო კრებების მეთაურებს ეთქვას საჯაროთ, რომ ბანკში ისევე ძველი გამგეობა თუ დარჩა, ვიღონებთ ყოველ ზომას, რომ დავღუპოთ, დავხუროთ ბანკი, გავატანიოთ ყველას ბანკიდან ფული და სხვა და სხვა... არა გვგონია ამნაირ პირობებში ძველი გამგეობა დარჩეს ისევე ბანკში, თუნდ უმეტესობის სურვილიც რომ იყოს იმათი დარჩენა. ყველამ იცის, რომ ერთ სულელს შეუძლიან წაახდინოს ერთ დღეში ის, რასაც ათი ჭკვიანი ვერ გააკეთებს ათის დღის განმავლობაში, ამიტომ შესაძლებელია, რომ გამგეობა დაუთმობს იმ პირთ, ვინც ასე თავ განწირულათ აცხადებს, რომ ეცდება დაღუპოს ბანკი, თუ გამგეობა მათ კერძო სურვილს არ დამორჩილდება,

ამიტომ გვგონია, რომ მომავალ კრებას აღარ ექმნება საარჩევნო ხასიათი. ყველამ დინჯათ უნდა გაითვალისწინოს ბანკის მდგომარეობა და მოიფიქროს ზომები საქმის გამოსაკეთებლად. ზოგი ზომა უნდა ეხებოდეს ზარალის გადახდას, ე. ი, უნდა იყოს გარკვეული, რა წყაროდან ან როგორ უნდა გადიხადოს ბანკმა ზარალი; ზოგი კიდევ უნდა ეხებოდეს ბანკისთვის საწარმოვო ფულის შოვნას,—ამისათვის უნდა შეიტანოს ყველამ რამდენიმე ფული მიმდინარე ანგარიშით, როგორც ჰქონიათ უწინ. ერთმანეთში უნდა დასდონ პირობა, რომ ერთს ხანს აღარ გაიტანონ თავიანთი ფული ბანკიდან.

მაგრამ უმთავრესად იმაზედ უნდა იფიქროს ყველამ, თუ რა ზომებით შეიძლება დაუბრუნდეს ბანკს უწინდელი ნდობა ხალხში. უნდა გვახსოვდეს, რომ გამგეობის მოწინააღმდეგენი ბანკს უტეხავდნენ სახელს, ბანკს უკარგავდნენ ნდობას, ბანკზედ ლაპარაკობდნენ. ან ეგება გამოჩნდეს კრებაზე რომელიმე უსუსური ბავში: ბანკზე ძვირი ჩვენ ვილაპარაკეთ და ხალხმაც დაგვიჯერა, დაშინდა, ფულის გასატანად მოაწყდა ბანკს, სამაგიეროდ ეხლა ქებას ვიტყვით, ახალი კაცები აარჩიეთ და აწი ბანკს აღარა უშავს-რაო, ხალხი აქაც დაგვიჯერებს, დაივიწყებს შიშს და უწინდელივით წამოიღებს ფულს შესანახად ამ ბანკში!..

ამნაირი ბავშური მსჯელობა ჩვენ თვით გაგვიგონია მაშინ, როდესაც აგიტაცია ახლად იწყებოდა და მეთაურები ამბობდნენ: ჯერ გამოვცლით ყველას და შემდეგ ჩვენგან დაშინებულ ხალხს ჩვენვე დავამშვიდებთ, ვეტყვით ყველას, რომ ახალ გამგეობის ხელში ბანკს ვერ ავნებს ვერც კრიზისები, ვერც ვაჭრობის შემცირება და ვერც ახალ მოქიშპე ბანკის მოქმედება ქუთაისშიო!

მართლა არ იფიქროს ვინმემ, ბანკში საშიში იყოს ფულის შენახვა. ფულის დაკარგვა შეიძლება მხოლოდ დიდ საკომერციო, სააქციო ბანკებში, საურთიერთო ბანკებში-კი ფულის დაკარგვა შეუძლებელია, საურთიერთო ბანკს შეიძლება საწარმოვო ფული შემოაკლდეს დროებით, ფულის დაკარგვა საფიქრებელიც არ არის.

სამწუხარო და სავალალოა მხოლოდ ზოგიერთების უსუსურობა, რომ არ იციან, თუ რა ძნელია ვაჭრობის საქმეში დაკარგულ ნდობის აღდგენა.

მომავალ კრებაზე, სადაც უნდა გადასწყდეს დიდმნიშვნელოვან ბანკის ყოფნა არ ყოფნის საკითხი, იმათ, ვინც საჯაროდ უტეხავდნენ სახელს ქუთაისის ბანკს, უნდა ამოიღონ ხმა ამაზედ და უნდა გააგებინონ კრებას, თუ რითი აპირებენ თავიანთ მოქმედებით დაკარგულ ნდობის აღდგენას, რომ ქუთაისის ბანკმა წარმოება მოახერხოს შემდეგში.

გოდ. გ.....ძე

თა საზოგადოების მოქმედება. გაზეთები გვატყობინებენ, რომ საზოგადოებას სასტიკად დაავალეს არ ასცდეს თავის წესდებას და გარეშე პირები მხოლოდ წევრთა რეკომენდაციით დაუშვას სხდომებზე.

✦ მოსკოვის მაზრის საერობო გამგეობის წევრთა რჩევანი არ მოხდა და გამგეობის წევრნი მთავრობამ დანიშნა.

✦ „რუსკ. ვედ.“-ს სწერენ ქ. ტაშკენტიდან, რომ იქ ამას წინად საქალაქო თეატრში შემდეგი საზარელი ამბავი მოხდა. წარმოდგენას დაესწრო ადგილობრივ ბატალიონის მთვრალი პორუჩიკი მალიშევი და უწესოდ იქცეოდა. ტაშკენტის კომენდანტმა კუზნეცოვმა, რომელიც წარმოდგენაზე იყო, შენიშნვა მისცა პორუჩიკს და შინ გაგზავნა. რამდენიმე ხნის შემდეგ მალიშევი დაბრუნდა, პირდაპირ მივიდა კომენდანტთან, რევოლვერი ამოიღო, მუცელში დაახალა და მძიმედ დასჭრა და იმავე რევოლვერით იქვე თავი მოიკლა.

✦ ამას წინად სარატოვის ქალაქის საბჭოს სხდომაზედ ქალაქის მოურავის, ნაფიც ვექილისა და მწერლის—ნემიროვსკის წინადადებით აღძრულ იქნა საკითხი იმის შესახებ, თუ რა გვარად უნდა გამოუცხადოს საბჭომ თანაგრძნობა სარატოვის მომავალ საერობო კრებას. „მომავალ კრების საერობო სერიოზულ მოღვაწეობის შესახებ“ ნემიროვსკიმ წაიკითხა რედაქცია მისალმებისა, რამაც გამოიწვია კამათი. გაცხარებულ კამათის დროს ტელეფონით გაიხმეს. როცა უკან დაბრუნდა კრებაზე, გამოაცხადა, ამ საკითხზე კამათი უნდა მოსპობილ იქმნასო. მეორე დღეს-კი ქალაქის თავმა ნემიროვსკიმ სამსახურს თავი დაანება.

✦ ამ რამდენისამე წლის წინად ხარკოვის საისტორიო-საფილოლოგიო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა თავის წესდების შეცვლის შესახებ და პასუხი მხოლოდ ამ ბოლო დროს მიიღო. მთავრობამ წესდების შეცვლის ნება მისცა მხოლოდ იმ პირობით, რომ წესდებაში, სხვათა შორის, შეტანილ იქნას შემდეგი მუხლი: „საერო ნაგათლების მინისტრს ნება აქვს თავის სურვილისამებრ გააუქმოს საზოგადოება“. საზოგადოებამ არ მიიღო ეს პირობა. წინად საზოგადოება საჯარო ლექციებს მართავდა და ნებართვას ადვილად აძლევდნენ. ბოლო დროს-კი ამ ნებართვის აღება მეტად გაუძნელეს თურმე.

✦ პეტერბურგის საბჭოს ხმოსანმა შნიტნიკოვმა შუამდგომლობა აღძრა, რათა გარკვეულ იქნას, შეუძლიათ თუ არა, ახალი საქალაქო დებულების ძალით, მეეზოვეებს საპოლიციო მოვალეობა დააკისრონ. ამ რამდენისამე წლის წინად ეს საკითხი სენატმა განიხილა და დაადგინა, რომ ძველი საქალაქო დებულების ძალით, საბჭოებს არა აქვთ ნება იშუამდგომლონ მეეზოვეების საპოლიციო თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ. ამგვარ შუამდგომლობის ნება მხოლოდ კერძო სახლების პატრონთა აქვთო.

✦ რადგან მთავრობის განკარგულებით კიევის უნივერსიტეტის შენობაში შორეულ აღმოსავლეთში მიმავალი ჯარი უნდა დააყენონ, უნივერსიტეტში სწავლება შეწყვეტილია.

✦ ვიტებსკიდან დეპეშით აუწყებენ „რუსკ. სლოვო“-ს, რომ პეტერბურგის სამოსამართლო პალატის სესიამ წოდებათა წარმომადგენლების დასწრებით, განიხილა ოთხი საქმე პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ. ბრალდებულთ პეტერბურგის ცნობილი ვექილები იცავდნენ. პირველი საქმე ეხებოდა ბლიუდნიკოვსა და ცოლ-ქმარს ლურიეს, რომლებიც გამართლებულ იქნენ. მეორე საქმე მოქალაქეებს: ლეიბა, აბრამ და შჩერა ჴადკინებს; ესენიც გაამართლა სასამართლომ. მესამე—მოქალაქეებს: ნაუმოვსკის, ხაიმ და იანკელ ბოგორადს, ლევინს და შაიკინის ქალს. ნაუმოვსკის ერთის წლითა და ერთის თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს; დანარჩენნი გაამართლეს. მეოთხე—მოქალაქე შაპიროს, რომელსაც 4 თვით დაპატიმრება მიუსაჯეს. განაჩენი ხალხის დასწრებითი გამოაცხადეს.

✦ პეტერბურგის საბჭოს ხმოსნებმა—ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა—წინადადებით მიმართეს ქალაქის მოურავს, რათა საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნას საკითხი პეტერბურგის საქალაქო დებულების ძირითად შეცვლის შესახებ.

✦ 6 დეკემბერს გაანთავისუფლეს პოლიციის ზედამხედველობისაგან და დაბრუნების ნება მისცეს ტვერის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ა. აპოსტოლს, რომელიც პლევეს განკარგულებით სამის წლით გადასახლებულ იქნა. დააბრუნეს აგრეთვე არხანგელსკში პლევეს მიერ ხუთის წლის ვადით გაგზავნილი ვექილი ბალავენსკი.

✦ მომავალ პირველ იანვრიდან რუსეთის რკინის გზებზე შემოღებული იქნება შეღავათიანი ტარიფი (ბილეთის მხოლოდ ნახევარ ფასს გადაახდევინებენ) მთავრობის, საერობო, საქალაქო, დედოფლის მარიამის უწყებისა და წითელი ჯვრის საზოგადოების სასწავლებლების მოწაფეებისათვის.

✦ მთავრობას განუზრახავს 1905 წელს გადასახადების მომატება ომის საჭიროების დასაკმაყოფილებლად და ფინანსთა სამინისტრომ უკვე მიმართა სახაზინო პალატებს ცირკულიარით, წარმოადგინონ ცნობები იმის შესახებ, თუ რა გადასახადი ხდება დღეს სხვა-და-სხვა სავაჭროებსა და სამრეწველოებს, და თავისი აზრი ამ გადასახადის გადიდების შესახებ.

წერილები

ვაჩნაძიანი (კახეთი). ვაჩნაძიანი და სამი სხვა სოფელი—კალაური, შაშიანი და ურიათუბანი—ერთმანეთიდან მხოლოდ პატარ-პატარა უმნიშვნელო ხევებით იყოფებიან, ასე რომ ოთხივე ერთ დიდ 2—3 ვერსზე გაჭიმულ და დასახლებულ სოფელს წარმოადგენს. ოთხივე სოფელი მცხოვრებთა მხრივ მრავალ-რიცხოვანია, მათში 1150 მეტი კომლი და 7500-მდე მცხოვრები ითვლება ორისავე სქესისა. ეს ამოდენა მცხოვრებთა რიცხვი დიდ შეერთებულ ძალას შეადგენს და ბევრი კარგი, მათთვის სასარგებლო და საკეთილდღეო საქმის გაკეთება შეუძლიათ. მაგრამ მცხოვრებნი არაფერს დასდევენ. არც მოიპოვება მათში ინიციატორი, საქმის მოთავე და კეთილის მრჩეველი. სოფელი გაჭირვებულ ცხოვრებაშია, მის ნაწარმოებს თან და თან ფასი ეკარგება და ეს უფრო ნივთიერად ავიწროვებს. ამისთვის, რაც უნდა სასარგებლო საქმე იყოს, სოფელს თავის ნებით ფულს ვერ გამოაღებინებთ—ნეტა ჩვენ ჩვენი ოჯახი ვაცხოვროთ და ამოდენა ხარჯებს გაუძლეთო. სწავლა-განათლების მხრივ რომ ვთქვათ დაქვეითებულიაო, არ ითქმის და უფრო დაცემულია. ვაჩნაძიანში, სადაც 200 მეტი მცხოვრებია, სკოლა არ არსებობს. თუმცა კალაურში და ვაჩნაძიანში სამრევლო სკოლებია, მაგრამ უმნიშვნელო ნაყოფი მოაქვთ. პირველ სოფელში მოსწავლენიც ნაკლებად დაიარებიან, ხოლო მეორეში, მიუხედავად იმისა, რომ მათი რიცხვი საკმაოა, მაინც იშვიათია, რომ აქედან სწავლა გაეგრძელებინოთ და თუ ასეთი პირნი მოიპოვებიან, მათ უამისოდაც შეძლება ექმნებოდათ სწავლის მიღებისა. თითქმის ყველა სკოლიდანვე იმ საქმეს ჰკიდებს ხელს, რასაც მისი მამა-პაპა, და ამ ცხოვრების დარგში-კი ეს სკოლა არავითარ ცოდნას არ აძლევს. ურიათუბანში ორი სკოლაა, სამინისტრო და სამრევლო, მაგრამ ამათზედაც ის ითქმის, რაც დანარჩენ ორ სოფელზე. სულ სულ იქნებოდა, ამათ მაგიერ, რომ ერთი პირველ დაწყებითი ორ-კლასიანი სამეურნეო განყოფილებით სკოლა ჰქონდეთ, სადაც უმთავრესი ყურადღება მეურნეობას ექმნებოდა მიქცეული. ასეთ სკოლის შენახვა ოთხ სოფელს ერთად არ გაუჭირდებოდა და ოთხივე სოფლის შვილებს შეეძლოთ სარგებლობა. რასაკვირველია, ასეთ სკოლის დაარსება ხარჯს გამოიწვევს და პირველად მოერიდებიან, მაგრამ როცა დარწმუნდებიან სკოლის სარგებლობას, მგონი მის შესანახად თითო კომლი არ დაიზარებს და უარს არ იტყვის წელიწადში ორის ან მეტ მანეთის გადასხდას. 1900 წელს ამ ოთხ სოფელმა სხვა ახლო მდებარე სამი სოფლის შემწეობით დააარსეს სოფ. ვაჩნაძიანში სასოფლო ქსენონი. მისი შენახვა თითო კომლს 1 მან. 50 კ. არც კი უჯდება და თუმცა თვითვე მოინდომეს—ოქმებში შეადგინეს (არ შეიძლება ისიც არ აღვნიშნოთ, რომ ქსენონის დაარსებაში დიდი მონაწილეობა მიიღო მომრიგებელმა შუამავალმა თავ. ნ. ჭავჭავაძემ), მაგრამ შემდეგ საქმის დაწყებისას, ზოგმა უარი განაცხადა და შუამდგომლობდა, გაგვანთავისუფლეთ, ხარჯის თავი არაგვაქვსო. როგორც იყო ქსენონი დაარსდა, რომელსაც განაგებს კომიტეტი, ადგილობრივ სოფლელთაგან შემდგარი. მართალია, ზოგნი უარობდნენ პირველში, მაგრამ ამ ორ—სამ წელიწადში, როგორ დაუწყეს ყურება მცხოვრებთ და როგორი ნდობა მოიპოვა, იქიდან სჩანს, რომ დილიდან საღამომდის ქსენონი სავსეა ავადმყოფებით—რჩევა-დარიგების და წამლების მისაღებად, რომელსაც უფასოდ იღებენ, მხოლოდ თუ ექიმი სოფელში—სახლში მიიწვიეს, მაშინ ფეხის ქირაა დანიშნული მანძილის მიხედვის თანახმად, 20-50 კაპ. მარტო ერთ თვეში ქსენონიდან დარიგება და წამალი მიიღო 1160 კაცს. ამისდა მიუხედავად ქსენონის აფთიაქში ხშირად აკლდებათ წამალი უფულობისა გამო და თვით მოსამსახურენიც რიგზე ვერ იღებენ ჯამაგირს, რადგან საჭირო ფული ნელა იკრიფება. ამას წინად მომიხდა ყოფნა ამ ქსენონში. მიუხედავად იმისა, რომ ორშაბათი, საქმის დღე იყო, დილა ადრიან ოთახი გავსილი დაჩხვდა ავადმყოფებით. ახალგაზრდა ექიმიც მუყაითად შესდგომოდა თავის საქმეს. თუმცა ციოდა და დიდი თოვლი მოდიოდა, შეშა არა ჰქონდათ, რომ ცეცხლი დაენთოთ. იძულებული ვიქნები ამისთანა სიცივეში მიღება მოვსპო, შეუძლებელია ავადმყოფთა გასინჯვა, ჩვენ—კიდევ არაფერი, როგორც იქნება ავიტანთო, შემომჩივლა ექიმმა. ჯერ შეშა არ მიეტანათ, თუმცა ექიმს მიემართნა ვისთვისაც ჯერ არს. ქსენონის საქმე მკვიდრ ნიადაგზე უნდა დამყარდეს, თორემ ამისთანა და სხვა დაბრკოლებანი ხელს შეუშლის მის ნაყოფიერ მოქმედებას. —**ლი**

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

14 დეკემბერი

კალკუტა, 14 დეკემბერი („რეიტერი“). ინდოეთში მეფის მოადგილემ კერზონმა მიიღო ავგანის ემირის უფროსი შვილი.

ჯიბუტი, 14 დეკემბერი. ადენში შავი ჭირი მძვინვარებს და ქალაქის ახლო-მახლო მიდამოებშიაც გავრცელდა.

ბრემენი, 14 დეკემბერი. წყალში ჩავარდნილთა დამხსნელი გერმანიის საზოგადოების სადგური იუწყება, რომ 12 დეკემბერს გადაარჩინეს ექვსი კაცი რუსების გემ „რუდოლფ“-იდან, რომელიც დანიიდან ლიბავას მიდიოდა.

სტამბოლი, 13 დეკემბერი („კორ. ბიურო“). მანისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი ადენისა და იემენის ახლოს ინგლისისა და ოსმალეთის ადგილების განსაზღვრის შესახებ და ინგლისის სასარგებლოდ გადასწყვიტა საქმე.

მოსკოვი, 14 დეკემბერი. ბახრუშინმა უანდერძა ქალაქს დიდი ქონება ობლების თავშესაფარის შესანახად. ვაჭრის ცოლმა ტრიაპკინამ უანდერძა ქალაქს 36 ათასი მანეთი საქველმოქმედო საქმეებისათვის.—საბჭოს სხდომაზე იმდენი ხალხი შეგროვდა, რომ ქალაქის მოურავმა სხდომის გახსნა შესაძლოდ არ სცნო და გააუქმა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 14 დეკემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,50
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,55
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	91¼
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	423
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	316½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	265
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	226

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში,
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდან**.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ.)11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის სავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
კალენდარი „ცოდნა“
✦ თითო ღირს ორ შაურათ ✦
ვინც ერთბაშად ასზე მეტს იყიდის,
დაეთმობა ექვს-ექვს კაპეიკათ.

შოთა რუსთაველის
დიდი სურათი
დაიბეჭდა ფოტოტიპიით სუფთად ბრისტოლის
მთელს თაბახზე
✦ ღირს ათ შაურათ ✦
ვინც ათს ერთბაშად ნაღდზე იყიდის, დაეთმობა ორ-ორ
აბაზათ და ვინც ოცზე მეტს—35 კაპ.

ფოსტით მისამართი: Тифлисъ Книжн. магазинъ „цодна“.
სოსიკო მერკვილაძე. (12—5)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი
ი. ნ. სვანიძე.
მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა, მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—8)

Сѣдельн. Спеціальн.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ.—176—92)

სადღესასწაულო საჩუქარი
გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში „ქართველ ქალთა წრის“ მიერ გამოცემული
„ზღაპრები“
წიგნში მოთავსებულია მხატვრის ბ-ნ შმერლინგის მიერ დასურათებული ჩვიდმეტი ხალხური ზღაპარი. წიგნი დიდის ფორმატისაა და შეიცავს 160 გვ. ფასი 1 მან. 30 კაპ. (2—1)

გამოვიდა ქართული წიგნების გამავრცელებლის
„კავშირის“
განმარტებითი წიგნაკი (კატალოგი),
ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს წიგნების გავრცელებაში, დაეთმობა ჩვენის გაგზავნით 30% და თუ თითონ წაიღებენ—40% მიმართეთ „კავშირის“ მოთავეს ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს (г. Тифлисъ, Туман. пер. 38). 30%-ის დაკლებითვე „კავშირის“ წიგნები გაიყიდება აგრეთვე მიხეილ ცაგარლის მაღაზიაში (წიგნების იარმუკაზე), ხოლო კვირაობით—40% დაკლებით. (5—398—2)

ახლად გახსნილი
სასტუმრო **არკადია** ნომრებით
(ყოფილი „იალტა“)
მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, **ორი** ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—42)

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა
აჯამეთის მამულში ისყიდება:
1) დარჩენილი ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,
2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა-და-სხვა ჯიშისა: Rupestris mont., Riparia gl. და Riparia x Rupestris 101¹⁴.
3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.
ადრესი: Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну. (15—10)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

გენერალნოე ობშჩესტვო
(Генеральное общество)
სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:
1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანეთისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კანტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;
2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;
3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.
4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;
5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.
6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;
7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;
8) პრემიების სიიაფეს;
9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;
10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;
11) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;
12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;
13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;
14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...
საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ. ოქოევის სახლი, ტელეფონი № 429.
აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—54)

Доз. цен. Тифлисъ, 15 декабря 1904 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ა.